მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 07 ნოემბერს AR1555201 განცხადებით მოგმართეთ საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით. 2017 წლის 28 დეკემბრის შუალედური გადაწყვეტილების თანახმად მოითხოვეთ ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მეორე საწყობის დაფიქსირებით; მოცემულ ვადაში ვერ მოხერხდა აღნიშნული ცვლილების განხორციელება და აღნიშნული განცხადება დარჩა განუხილველი.

2018 წლის 28 მარტის № 3889207 ბრძანებით განხორციელდა აღნიშნული ცვლილება და გაპში დაფიქსირდა „2 (ორი) სასაწყობე შენობა-ნაგებობა“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ხელახლა მოგმართავთ იგივე მოთხოვნით და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია ასევე დადგენილი ხარვეზების აღმოფხრა, კერძოდ:

- ტერიტორიაზე თავისუფალი მოხვედრა განახლებული დოკუმენტაციის თანახმად ხორციელდება კვირაცხოვლის ქუჩიდან (იხილეთ გენ-გეგმა)
- კ1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართში დამატებით შეყვანილ იქნა ,,ე'' ღერძის გარეთ 0.00 ნიშნულზე დაპროექტებული ფილა (იხილეთ გეგმები);
- ტერიტორიის გამწვანებულ ნაწილში მოშანდაკება გათვალისწინებულია ე.წ. „ბალახის ქვაფენილით“, შესაბამისად მოშანდაკებული ტერიტორიის ფართი შედის კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართში

აღნიშნული ცვლილებები ასახულია შესაბამის ნახაზებში